9 7 1 / 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 5 (364)

1971 წლის მაისი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

№ 5 (364) მაისი 1971 წელი

შინაარსი

განყოფილება პირველი

65. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

66. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქალაქ ფოთსა და თეთრი წყაროს რაიონში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ.

განყოფილება მეორე

67. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სსრ დამსახურებული მშენებლის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

68. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

69. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის მსახიობთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.

70. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

71. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

72. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ქ. რუსთავში ტროლეიბუსის ხაზის პირველი რიგის მშენებლობაზე.

73. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. პ. ნ. ბაქრაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

74. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. დ. გოგატიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

75. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ს. გ. თიბილოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

76. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. მ. კობერიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

77. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

65 საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმი 9 კაცის რაოდენობით, შემდეგი შემადგენლობით:

პრეზიდიუმის თავმჯდომარე

სერგო იასონის ძე **ქაჯაია** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე.

პრეზიდიუმის წევრები:

თამაზ გრიგოლის ძე **შავგულიძე** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე;

გიორგი ყირიმის ძე **იოსავა** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე;

დურმიშხან ანთიმოზის ძე **ლორია** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე;

გოგმარი გიორგის ძე **გაბუნია** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი;

ოთარ ალექსანდრეს ძე **გველესიანი** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი;

გრიგოლ გრიგოლის ძე **დევდარიანი** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი;

ნინო ივანეს ასული **ერქომაიშვილი** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი;

ალექსანდრე არსენის ძე **ღუღუნიშვილი** — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 30 ოქტომბრის დადგენილება „საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1971 წლის 31 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

66 ქალაქ ფოთსა და თეთრი წყაროს რაიონში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც მოისმინა მშრომელთა დეპუტატების ფოთის საქალაქო და თეთრი წყაროს რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეთა ამხ. ამხ. გ. კვაშილავას და ე. ელბაქიძის მოხსენებები საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ, აღნიშნავს, რომ ქალაქ ფოთსა და თეთრი წყაროს რაიონში სერიოზული მუშაობაა გაწეული არჩევნების მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩასატარებლად.

დებულებით გათვალისწინებულ ვადებში შეიქმნა საარჩევნო ოლქები და უბნები, რაიონული, საქალაქო, სასოფლო, სადაბო, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები. ყველა საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისია მოთავსებულია შესაფერ შენობაში. ისინი უზრუნველყოფილი არიან არჩევნებისათვის საჭირო დოკუმენტაციის ბლანკებით, მასალებით, პლაკატებით, საარჩევნო ლიტერატურით (კონსტიტუციით, დებულებით) და სხვ. გარდა ამისა, საარჩევნო უბნები უზრუნველყოფილია სატელეფონო კავშირით.

საარჩევნო კომისიებს შედგენილი აქვთ სამუშაო გეგმები, კომისიების წევრთა შორის განაწილებულია ფუნქციები, ჩატარებულია 2—3 სხდომა, რომლებზეც განხილულია არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები. ყველა საოლქო საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში გაატარა დეპუტატობის კანდიდატი. შედგენილია დეპუტატობის კანდიდატის ამომრჩევლებთან შეხვედრის გრაფიკი. საარჩევნო უბნებში გამოკრულია ამომრჩეველთა სიები, კლუბებსა და ბიბლიოთეკებში მოწყობილია ამომრჩეველთა კუთხეები, გამოშვებულია კედლის გაზეთები და სხვ.

მოსახლეობაში გაშლილია აგიტმასობრივი მუშაობა არჩევნების დებულების და პარტიის XXIV ყრილობის მასალების შესწავლის მიზნით.

აღმასკომები რეგულარულად ამოწმებენ არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის საკითხებს და ღებულობენ ზომებს გამოვლენილ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ.

ამასთან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის მზადების საქმეში თეთრი წყაროს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომს გააჩნია რიგი ნაკლოვანებანი:

საქალაქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობა, საქალაქო საბჭოს აღმასკომის ნაცვლად, დაამტკიცა რაიონული საბჭოს აღმასკომმა. ზოგიერთ სასოფლო და სადაბო საარჩევნო კომისიას შედგენილი არ აქვს სამუშაო გეგმა და კომისიის წევრებს შორის განაწილებული არ არის ფუნქციები. ჩხიკვთის სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე შექმნილ საუბნო და სასოფლო საარჩევნო კომისიას

მუნ. ეროვნული ბიბლიოთეკა

დღემდე არც ერთი სხდომა არ ჩაუტარებია. ზოგიერთი საარჩევნო ოლქი სათანადოდ არ არის მოწყობილი. დაღეთხაჩინის, დმანისის, ბორბალოს და რიგ სხვა სასოფლო საბჭოს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში სათანადო მუშაობას არ ეწევიან არჩევნებისათვის მზადებასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს ფოთის საქალაქო და თეთრი წყაროს რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) ზუსტად დაიცვან არჩევნებისათვის მზადების ვადები, რომლებიც დაწესებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დებულებებით;

ბ) მიიღონ ზომები იმ შენობების მოწყობისა და გაფორმებისათვის, რომლებშიც მოთავსებულია საარჩევნო კომისიები;

გ) მეტი ყურადღებით მოეკიდონ ამომრჩეველთა სიების დაზუსტებას, ამ საქმეში ფართოდ ჩაბან საარჩევნო კომისიის წევრები, აგიტატორები, აქტივი, უზრუნველყონ, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს ხმის მიცემის უფლების მქონე ყველა მოქალაქემ.

დ) ფართოდ გააცნონ ამომრჩევლებს დეპუტატობის კანდიდატთა შრომითი საქმიანობა, მოაწყონ კანდიდატების შეხვედრები ამომრჩევლებთან საწარმოებში, მშენებლობებზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში დაწესებულებებსა და საცხოვრებელ ადგილებში.

ე) სათანადო დახმარება გაუწიონ საუბნო საარჩევნო კომისიებს ხმის მისაცემი კაბინების მოწყობაში, ხმის დათვლასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში. დებულებით დადგენილ ვადაში მოამარაგონ საარჩევნო უბნები საჭირო რაოდენობის საარჩევნო ბიულეტენებით;

ვ) უზრუნველყონ არჩევნებზე ამომრჩეველთა გამოცხადებისა და ხმის მიცემის შედეგების შესახებ ცნობების დროულად წარმოდგენა დადგენილი ფორმების შესაბამისად.

2. დაევალოს ფოთის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს მიიღოს ზომები ნაოსნობაში მყოფ გემებზე სააგიტაციო საარჩევნო მუშაობის გასაუმჯობესებლად და არჩევნების შედეგების შესახებ ცნობების შეუფერხებლად მიღებისათვის.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს მაქსიმალურად გამოიყენონ არჩევნებამდე დარჩენილი დრო და განახორციელონ ყველა ღონისძიება არჩევნების მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩასატარებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1971 წლის 31 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მეორე

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

67 „საქართველოს სსრ დამსახურებული მშენებლის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

თბილისის აეროვაგზლის მშენებლობის წარმატებით დამთავრებასა და საექსპლოატაციოდ გადაცემასთან დაკავშირებით მიენიჭოთ „საქართველოს სსრ დამსახურებული მშენებლის“ საპატიო წოდება:

1. ვიქტორ ილარიონის ძე **ქარქუსაშვილს** — ტრესტ „ზაკტრანსსტროის“ № 131 სამშენებლო სამმართველოს კალატოზს.

2. დიმიტრი ნიკიტას ძე **სკიბას** — ტრესტ „ზაკტრანსსტროის“ № 131 სამშენებლო სამმართველოს ზეინკალს.

3. ვიქტორ გიორგის ძე **ტაგანაშვილს** — ტრესტ „ზაკტრანსსტროის“ № 131 სამშენებლო სამმართველოს უფროსს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1971 **წლის 6 მაისი.**

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

68 საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

თბილისის მეტროპოლიტენის პირველი რიგის მშენებელობის წარმატებით დამთავრებასა და საექსპლოატაციოდ გადაცემასთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდებები:

საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრისა:

მიხეილ ელეფთერის ძე **აბესაძეს** — ინსტიტუტ „კავგიპროტრანსის“ ტექნიკური განყოფილების მთავარ სპეციალისტს.

არჩილ ბაგრატის ძე **ასლანიშვილს** — სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს თბილისის სამთოტექნიკური ინსპექციის უფროსს.

კარლო გრიგოლის ძე **ბეგალიშვილს** — თბილისის მეტროპოლიტენის გზის დისტანციის უფროსს.

ივანე პეტრეს ძე **ბერიტაშვილს** — „თბილგვირაბმშენის“ № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის მთავარ ინჟინერს.

მიხეილ ივანეს ძე **ბუკას** — ინსტიტუტ „კავგიპროტრანსის“ განყოფილების მთავარ სპეციალისტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმერ კონსტანტინეს ძე **დანდუროვს** — თბილისის მეტროპოლიტენის პროექტის მთავარ ინჟინერს.

კლაუს ვარლამის ძე **კილაძეს** — „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს საწარმოო განყოფილების უფროსს.

ნათელა ზაქარას ასულ **კოშკაძეს** — „თბილგვირაბმშენის“ № 5 საგვირაბო რაზმის საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსს.

გიორგი ისაკის ძე **მამაჯანაშვილს** — „თბილგვირაბმშენის„ მოწყობილობის ექსპლოატაციის, გაქირავების და შეკეთების კანტორის უფროსს.

ირაკლი შალვას ძე **მაჭავარიანს** — „თბილგვირაბმშენის“ № 5 საგვირაბო რაზმის მთავარ ინჟინერს.

ილია ნიკოლოზის ძე **რუხაძეს** — „თბილგვირაბმშენის“ № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის უფროს სამუშაოთა მწარმოებელს.

გიორგი დავითის ძე **სიმონიშვილს** — თბილისის მშენებარე მეტროპოლიტენის დირექციის უფროსს.

ბუდუ პავლეს ძე **ფაჩულიას** — „თბილგვირაბმშენის“ № 5 საგვირაბო რაზმის მთავარ ინჟინერს.

გიორგი ივანეს ძე **ქლიბაძეს** — თბილისის მეტროპოლიტენის ელექტროდეპოს უფროსის მოადგილეს.

აბესალომ იოსების ძე **ყურაშვილს** — „თბილგვირაბმშენის“ № 5 საგვირაბო რაზმის უფროსს.

სერგო უშანგის ძე **ჭურაძეს** — „თბილგვირაბმშენის“ № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის უფროსს.

საქართველოს სსრ დამსახურებული მშენებლისა:

ილია მაქსიმეს ძე **ანანკოს** — „კავგვიპროტრანსის« საინჟინერო გეოლოგიის განყოფილების ბურღვის უფროს ოსტატს.

ედუარდ არტემის ძე **ანანიანს** — „თბილგვირაბმშენის“ მოწყობილობათა ექსპლუატაციის, გაქირავებისა და შეკეთების კანტორის ზეინკალ-მემონტაჟეთა ბრიგადირს.

ალექსანდრე იოსების ძე **დათაშვილს** — „თბილგვირაბმშენის“ № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის ზეინკალ-მემონტაჟეთა ბრიგადირს.

გიორგი ტრიფონის ძე **დანელიას** — „თბილგვირაბმშენის“ მოწყობილობათა ექსპლოატაციის, გაქირავებისა და შეკეთების კანტორის კომპრესორული დანადგარების ზეინკალს.

შალვა გიორგის ძე **დევსურაშვილს** — „თბილგვირაბმშენის« № 5 საგვირაბო რაზმის გვირაბგამყვანთა ბრიგადირს.

ანატოლ ალექსის ძე **ზახაროვს** — „მთავარგვირაბმეტრომშენის“ № 901 სპეციალური სამშენებლო მატარებლის მემარმარილოეთა ბრიგადის ბრიგადირს.

გრიგოლ პლატონის ძე **ინჩკიტიძეს** — „თბილგვირაბმშენის“ რკინაბეტონის კონსტრუქციათა ქარხნის მეარმატურეთა ბრიგადის ბრიგადირს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ ვასილის ძე **ირემაძეს** — „თბილგვირაბმშენის“ № 5 საგვირაბო რაზმის გვირაბგამყვანთა ბრიგადირს.

ქრისტეფორე ივანეს ძე **ლაზიდის** — „თბილგვირაბმშენის“ № 5 საგვირაბო რაზმის გვირაბგამყვანთა ბრიგადირს.

გიორგი ტერენტის ძე **მარშანიას** — „თბილგვირაბმშენის“ ავტოსატრანსპორტო კანტორის შოფერს.

გრუზო ივანეს ძე **ობოლაძეს** — „თბილგვირაბმშენის“ № 5 საგვირაბო რაზმის გვირაბგამყვანთა ბრიგადირს.

ვალერიან პეტრეს ძე **პოდიაშვილს** — „თბილგვირაბმშენის“ № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის გვირაბგამყვანთა ბრიგადირს.

ვლადიმერ ალექსანდრეს ძე **სიუკაევს** — „თბილგვირაბმშენის“ № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის გვირაბგამყვანთა ბრიგადირს.

აკიმ გაგას ძე **ცხურბაევს** — „თბილგვირაბმშენის“ რკინაბეტონის კონსტრუქციათა ქარხნის მეამწეს.

ნიკიფორე გიორგის ძე **სარლამპოვს** — „თბილგვირაბმშენის“ № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის კალატოზს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1971 წლის 7 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

69 საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის მსახიობთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის, დაარსების ოცდახუთი წლისთავთან დაკავშირებით, საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის მსახიობებს მი,,ნიჭოთ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ სახალხო არტისტის:

იამზე ვლადიმერის ასულ **დოლაბერიძეს**
ნინო მიხეილის ასულ **კირვალიძეს**
ომარ აკაკის ძე **მხეიძეს**
ფრიდონ სილიბისტროს ძე **სულაბერიძეს**
თენგიზ ილიას ძე **სუხიშვილს**
გიორგი სტეფანეს ძე **ჯიბლაძეს**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის:

ანზორ სერგოს ძე **ასლანიშვილს**
ჯუმბერ ვიქტორის ძე **ბერაძეს**
ვლადიმერ ანდროს ძე **გაბელიას**
ინგა ბორისის ასულ **თევზაძეს**
ბახშო აკოფის ძე **იაგუტოვს**
როსტომ მიხეილის ძე **იაშვილს**
ასლან გრიგოლის ძე **კაბისოვს**
ილია ლევანის ძე **მეტრეველს**
თენგიზ ნიკოლოზის ძე **მინდიაშვილს**
ჰამლეტ შალვას ძე **მუშკუდიანს**
ჯემალ პეტრეს ძე **ნავროზაშვილს**
ანზორ სერგოს ძე **ნიკოლეიშვილს**
ლატავრა ალექსანდრეს ასულ **ფოჩიანს**
დავით ევგენის ძე **ქველიძეს**

საქართველოს სს კულტურის დამსახურებული მუშაკის:

ნინო ჩამალის ასულს **მერაბოვას**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1971 **წლის 31 მაისი.**

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

70 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

თბილისის აეროვაგზლის მშენებლობის წარმატებით დამთავრებასთან და საექსპლოატაციოდ გადაცემასთან დაკავშირებით მუშები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი, დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

ვლადიმერ გიორგის ძე **ბერიძე** — ინსტიტუტ „თბილზნიიეპის“ მთავარი სპეციალისტი, პროექტის ავტორი.

ოთარ ტერენტის ძე **გოგიაშვილი** — ტრესტ „საქმარმარილოს“ ეკლარის ქვის საკარიერო სამმართველოს მხერხავი.

ბეგლარ ზაქარიას ძე **კურტანიძე** — ტრესტ „ზაკტრანსსტროის“ № 131 სამშენებლო სამმართველოს კალატოზი.

ივანე ილიას ძე **პლიანიდი** — ტრესტ „ზაკტრანსსტროის“ № 131 სამშენებლო სამმართველოს ქვის მთლელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვასილ ივანეს ძე **სელიხოვი** — ტრესტ „იუჟტრანსტეხმონტაჟის“ „ვოდრე-22-ის“ უფროსი.

ალექსანდრე ვასილის ძე **ტაგანაშვილი** — ტრესტ „ზაკტრანსსტროის“ № 131 სამშენებლო სამმართველოს მღებავთა ბრიგადირი.

ნიკოლოზ ანდრიას ძე **ხორინი** — ტრესტ „ზაკტრანსსტროის“ № 131 სამშენებლო სამმართველოს მლესავი.

ჯემალ ალექსანდრეს ძე **წამალაშვილი** — ტრესტ „ზაკტრანსსტროის“ № 131 სამშენებლო სამმართველოს მშენებლობის ოსტატი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1971 წლის 6 მაისი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

71 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

თბილისის მეტროპოლიტენის პირველი რიგის მშენებლობის წარმატებით დამთავრებასა და საექსპლოატაციოდ გადაცემასთან დაკავშირებით მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურენი, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი, დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

აკაკი ილიას ძე **ბანცაძე** — თბილისის მეტროპოლიტენის სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის დისტანციის უფროსი.

გივი ევგენის ძე **ბარაბაძე** — „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს რკინაბეტონის კონსტრუქციების ქარხნის დირექტორი.

გიორგი ნიკოლოზის ძე **ბერუჩაშვილი** — თბილისის მეტროპოლიტენის გვირაბების შენობებისა და ნაგებობათა დისტანციის უფროსი.

გურამ ვლადიმერის ძე **ბუბაშვილი** — თბილისის მეტროპოლიტენის ენერგომომარაგების დისტანციის სარემონტო-სარევიზიო ჯგუფის უფროსი.

სიმონ გრიგოლის ძე **ბუნინი** — „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს კადრების მომზადების ინჟინერი.

შალვა დარისპარის ძე **გვაზავა** — „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს № 5 საგვირაბო რაზმის უფროსის მოადგილე.

იორამ თომას ძე **გიგოლაევი** — „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს № 5 საგვირაბო რაზმის გვირაბგამყვანთა ბრიგადირი.

ვალერიან ვარდენის ძე **გოცირიძე** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პროფტექგანათლების კომიტეტის № 26 ტექნიკური სასწავლებლის დირექტორი.

ხარიტონ იოსების ძე **გუნია** — თბილისის მეტროპოლიტენის გზის დისტანციის უფროსის მოადგილე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხეილ არამის ძე **დათეშოვი** — „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს № 5 საგვირაბო რაზმის უბნის უფროსი.

ანზორ ლევანის ძე **ელიზბარაშვილი** — თბილისის მეტროპოლიტენის გზის დისტანციის მუშა.

ამირან შალვას ძე **ზარქუა** — „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის გვირაბგამყვანთა ბრიგადირი.

ვაჟა ეზიკიას ძე **ზიბზიბაძე**—„თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის უბნის უფროსი.

ვლადიმერ ნიკოლოზის ძე **ზირაქიშვილი** — „თბილგვირაბშმენის“ სამმართველოს რკინაბეტონის კონსტრუქციების ქარხნის მემოტორე.

მიხეილ ბეგლარის ძე **კაციტაძე** — თბილისის მეტროპოლიტენის ესკალატორების დისტანციის ზეინკალი.

თევდორე ზაურეკის ძე **კაჩმაზოვი** — „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს № 5 საგვირაბო რაზმის გვირაბგამყვანთა ბრიგადირი.

ნოდარ კირილეს ძე **კვირკველიძე** — თბილისის მეტროპოლიტენის ელექტრომომარაგების დისტანციის უფროსი.

რევაზ ალექსანდრეს ძე **კვერღელიძე** — „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს მშენებელთა პროფკავშირის გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარე.

გურამ გრიგოლის ძე **კიკნაძე** — ინსტიტუტ „კავგიპროტრანსის“ მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის მთავარი ინჟინერი.

დიონი პლატონის ძე **კობერიძე** — „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს № 5 საგვირაბო რაზმის გვირაბგამყვანთა ბრიგადირი.

ოთარ გიორგის ძე **კუჭავა**—თბილისის მშენებარე მეტროპოლიტენის დირექციის მოწყობილობისა და კომპლექტაციის განყოფილების უფროსი.

სილვა დიმიტრის ძე **ლალიაშვილი** — „თბილგვირაბმშენის« სამმართველოს № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის ხუროო.

ნოდარ გრიგოლის ძე **მალიძე**—თბილისის მეტროპოლიტენის სპეციალური ობიექტების დისტანციის სამეურნეო მატარებლის მემანქანე.

ვალერი აბრამის ძე **მახაშვილი** — „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს ავტოსატრანსპორტო კანტორის შოფერი.

ჟანი აქვსენტის ძე **მიმინოშვილი** — ტრესტ „საქსანტექნტაჟის“ სპეცსამონტაჟო სამმართველოს „პრომვენტილაციის“ უბნის უფროსი.

რომან ბაგრატის ძე **ნადარაია** — „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის გვირაბგამყვანთა ბრიგადირი.

იური კაპიტონის ძე **სანიჩევი** — მთავარგვირაბმეტრომშენის № 901 სპეციალური სამშენებლო მატარებლის მემარმარილოე.

ნადეჟდა ალექსის ასული **სტეფანოვა** — „თბილგვირაბმშენის« სამმართველოს რკინაბეტონის კონსტრუქციების ქარხნის მდოზავი.

შალვა ნიკიფორეს ძე **ტულუში** — „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის უფროსის მოადგილე.

გიორგი სამუელის ძე **ქიწმარიშვილი** — „თბილგვირაბმშენის“ სამმართველოს № 5 საგვირაბო რაზმის გვირაბგამყვანთა ბრიგადირი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარადებული პართენის ძე **ქოიავა** — თბილისის მშენებარე მეტროპოლიტენის დირექციის ინსპექტორი.

გიორგი იოსების ძე **ქოქაშვილი** — თბილისის მეტროპოლიტენის სიგნალიზაციისა და კავშირგაბმულობის დისტანციის უფროსი ელეტქრომექანიკოსი.

ერგული მიხეილს ძე **ქრისტესაშვილი** — „თბილგვირაბმშენის" სამმართველოს № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის ზეინკალი.

ირაკლი ვიქტორის ძე **ქსენოდოხოვი**—თბილისის მეტროპოლიტენის ელექტროდაცვისა და ავტომატიკის დისტანციის უფროსი.

გურამ ექვთიმეს ძე **ქუმარიტაშვილი** — „თბილგვირაბმშენის" სამმართველოს № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის გვირაბგამყვანი.

გივი შალვას ძე **ყიფიანი** — „თბილგვირაბმშენის" სამმართველოს № 213 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის უბნის უფროსი.

ბექარ სარდიონის ძე **შალიკაშვილი** — „თბილგვირაბმშენის" სამმართველოს № 5 საგვირაბო რაზმის უბნის უფროსი.

ვახტანგ სამსონის ძე **შენგელია** — „თბილგვირაბმშენის" სამმართველოს ავტოსატრანსპორტო კანტორის უფროსი.

გურამ იაგორის ძე **ჩიგოგიძე** — „თბილგვირაბმშენის" სამმართველოს პარტკომის მდივანი.

მიხეილ ვარლამის ძე **ცაგარეიშვილი** — „თბილგვირაბმშენის" სამმართველოს № 5 საგვირაბო რაზმის გვირაბგამყვანი.

გუჯა ნიკოლოზის ძე **ჭაბუკიანი** — თბილისის მშენებარე მეტროპოლიტენის დირექციის მთავარი ინჟინერი.

კონსტანტინე პავლეს ძე **ჭელიძე** — „თბილგვირაბმშენის" სამმართველოს № 5 საგვირაბო რაზმის გვირაბგამყვანი.

იუზა ლუკას ძე **ჭოხონელიძე** — თბილისის მეტროპოლიტენის გვირაბების, შენობებისა და ნაგებობათა დისტანციის მეგვირაბე მუშა.

გენო აკაკის ძე **ჯვარშეიშვილი** — „საქელექტრომონტაჟის" უბნის უფროსი.

ალექსანდრე ჰუსეინის ძე **ჰუსეინოვი** — „თბილგვირაბმშენის" სამმართველოს № 5 საგვირაბო რაზმის უბნის უფროსი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1971 წლის 7 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

72 მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების დაჯილდოების შესახებ, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ქ. რუსთავში ტროლეიბუსის ხაზის პირველი რიგის მშენებლობაზე

მუშები და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ქ. რუსთავში ტროლეიბუსის ხაზის პირველი რიგის მშენე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბლობაზე დაჯილდოვდნენ **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:**

აბესალომ ლავრენტის ძე **აბზიანიძე** — თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს საკონტაქტო ქსელის მემონტაჟეთა ბრიგადირი.

ევტიხი დომენტის ძე **გოგელაშვილი** — თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს საკონტაქტო ქსელების მემონტაჟეთა ბრიგადირი.

სურენ მარტიროსის ძე **ენგოიანი** — საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სამმართველო „საქელექტრორემმშენმონტაჟის“ ზეინკალი.

მამედ იოსების ძე **კაპლანოვი** — თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებელი.

მიხეილ მიხეილის ძე **კონჭერაშვილი** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტ № 1-ის „ტრანსსპეცმშენის“ სამშენებლო სამმართველოს მუშა.

რევაზ გიორგის ძე **კოტრიკაძე** — თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს ელექტრომეურნეობის უფროსი.

ირაკლი მელიტონის ძე **ლომსაძე** — საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მთავარი მექანიკოსისა და მთავარი ენერგეტიკოსის განყოფილების უფროსი.

ბორის სერგის ძე **პოზუშკო** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამუშაოთა სამმართველოს ტრესტ „საქელექტრომონტაჟის“ რუსთავის სამონტაჟო სამმართველოს სამუშაოთა მწარმოებელი.

გიორგი ვლადიმერის ძე **ხარატიშვილი** — საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს წევის ქვესადგურის უფროსი.

ანდრო გიორგის ძე **შალვაშვილი** — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტ № 1 „ქიმმრეწველმშენის“ სამშენებლო სამმართველოს ხურო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1971 წლის 18 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

73 ამხ. პ. ნ. ბაძრაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრის მოადგილე ამხ. პეტრე ნიკოლოზის ძე ბაქრაძე დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1971 წლის 28 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

74 ამხ. ლ. დ. გოგატიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

რესპუბლიკის მოსახლეობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, გადამდგარი პოლკოვნიკი ლავრენტი დიმიტრის ძე **გოგატიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1971 წლის 28 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

75 ამხ. ს. ბ. თიბილოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის მთავარი კონსულტანტი ამხ. სიმონ გრიგოლის ძე **თიბილოვი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1971 წლის 28 მაისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

76 ამხ. ი. მ. კობერიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საერთო განყოფილების გამგე ამხ. ივანე მინას ძე **კობერიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1971 წლის 28 მაისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

77 საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართული საბჭოთა ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარების საქმეში განსაკუთრებული დამსახურებისათვის, დაარსების ოცდახუთი წლისთავთან დაკავშირებით, **საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1971 წლის 31 მაისი.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

1971 წლის 31 მაისს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა, რომელზეც მოისმინეს საქართველოს სსრ სამხედრო კომისრის ამხ. ვ. ი. მურუსიძის მოხსენება საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ კანონის შესრულების მდგომარეობის თაობაზე. პრეზიდიუმმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკაში გარკვეული მუშაობაა გაწეული ხსენებული კანონის განსახორციელებლად.

№ 5
ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამხედრო კომისარიატები, პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით, დაწესებულ ვადებში და ორგანიზებულად ახდენენ მოქალაქეთა მიწერას და ახალგაზრდობის გაწვევას ნამდვილ სამხედრო სამსახურში.

წარმატებით მუშაობენ დოსაავის სასწავლო ორგანიზაციები და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლები, სადაც მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტულ აღზრდას.

ამასთან ერთად საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ კანონის შესრულებაში ჯერ კიდევ არსებითი ნაკლოვანებებია.

სკოლებში, უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში ნაკლოვანებებია სამხედრო სწავლების მეთოდური ხელმძღვანელობის საქმეში.

ჯანმრთელობის დაცვის ადგილობრივი ორგანოები ვერ უზრუნველყოფენ წვევამდელი და გასაწვევი ახალგაზრდობის სათანადო მკურნალობას. რესპუბლიკის ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში ჯერ კიდევ უხარისხოდ ახდენენ ახალგაზრდობის სამედიცინო შემოწმებას.

მთელ რიგ რაიონში არ შესრულდა „მზათ ვარ სამშობლოს დაცვისათვის“ ნიშნის მისაღებად ნორმების ჩატარების გეგმები.

მშრომელთა დეპუტატების ზოგიერთი სადაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელი ჯეროვანი პასუხისმგებლობით არ ეკიდება სამხედრო ვალდებულთა და გასაწვევთა აღრიცხვის საქმეს. ხშირად ირღვევა საკომლო დავთრების წარმოების წესი. შინაგან საქმეთა რაიონული და ქალაქის განყოფილებები არ იღებენ საჭირო ზომებს საპასპორტო რეჟიმის მოთხოვნათა შესასრულებლად. პროკურატურის, სასამართლოს, მმაჩის, შინაგან საქმეთა და სოციალური უზუნველყოფის ადგილობრივი ორგანოები დროულად არ აცნობებენ სამხედრო კომისარიატებს გასაწვევთა და სამხედრო ვალდებულთა პასუხისმგებაში მიცემის, მსჯავრდების, ინვალიდად ცნობისა და გარდაცვალების შესახებ. მშრომელთა დეპუტატების ზოგიერთი რაიონული თუ საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ქმედით კონტროლს არ უწევენ ამ კანონის შესრულების მიმდინარეობას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატს დაავალა განახორციელოს ქმედითი ღონისძიებანი საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ კანონის შესრულებაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს მიეცათ დავალება — სისტემატურად შეისწავლონ ახალგაზრდობის დაწყებითი სამხედრო მომზადების მდგომარეობა; მკაცრი კონტროლი დააწესონ წვევამდელი ასაკის ახალგაზრდობის ზოგადსაგანმანათლებლო მომზადებაზე; ზომები მიიღონ სამხედრო ვალდებულებათა და გასაწვევთა აღრიცხვის მოსაწესრიგებლად, სათანადო პასუხი მოსთხოვონ იმ სადაბო, სასოფლო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს და წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, რომლებიც უგულებელყოფენ სამხედრო აღრიცხვის წესებს, გააძლიერონ საპასპორტო რეჟიმის დაცვის კონტროლი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველმხრივი პრაქტიკული დახმარება გაუწიონ დოსაააფის ორგანიზაციებს; უზრუნველყონ მათი სასწავლო პუნქტები სათანადო შენობებით და ინვენტარით; ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის გაუმჯობესებების საქმეში ფართოდ მიიზიდონ საბჭოს დეპუტატები, აქტივი, ომისა და შრომის ვეტერანები.

რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს დაევალათ უფრო ქმედითად გააკონტროლონ მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში გასაწვევთა და სამხედრო ვალდებულთა აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის შესრულება.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დაევალა განახორციელოს სათანადო ღონისძიებანი წვევამდელი ასაკის ავადმყოფ ახალგაზრდათა დისპანსერიზაციის უზრუნველსაყოფად და გასაწვევ ახალგაზრდობასთან სამკურნალო-გამაჯანსაღებელი მუშაობის ჩასატარებლად.

შინაგან საქმეთა, იუსტიციის, სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროებს, რესპუბლიკის პროკურატურას და უმაღლეს სასამართლოებს მიეცათ დავალება უზრუნველყონ, რომ მათმა საქვეუწყებო ორგანოებმა დროულად მიაწოდონ სამხედრო კომისარიატებს ცნობები გასაწვევთა და სამხედრო ვალდებულთა შესახებ.

X X X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1971 წლის 18 და 31 მაისის ბრძანებულებებით რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შესაბამის დარგებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის თვალსაჩინო გამოგონებებისა და რაციონალიზატორული წინადადებებისათვის, არქიტექტურის განვითარებაში დამსახურებისათვის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკოსთა, სოფლის მეურნეობის, მრეწველობისა და კულტურის სხვადასხვა დარგების სპეციალისტთა დიდ ჯგუფს მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული არქიტექტორის, დამსახურებული ინჟინრის, დამსახურებული აგრონომის, დამსახურებული გეოლოგის, დამსახურებული მეღვინის, დამსახურებული მეტყევის, დამსახურებული ზოოტექნიკოსის, დამსახურებული ვეტერინარი ექიმის, დამსახურებული მელიორატორის, სოფლის მეურნეობის დამსახურებული მექანიზატორის, კავშირგაბმულობის დამსახურებული მუშაკის, საყოფაცხოვრებო მომსახურების დამსახურებული მუშაკის, დამსახურებული გამომგონებლისა და დამსახურებული რაციონალიზატორის საპატიო წოდებები.

აღნიშნული ბრძანებულებები ქვეყნდება რესპუბლიკის პრესაში.

X

X X

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1971 წლის 31 მაისის ბრძანებულებით 49 კაცი დაჯილდოებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

№ 5
ეროვნული
ბიბლიოთეკ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიების სხდომები.

საგეგმო-საბიუჯეტო მუდმივმა კომისიამ მოისმინა საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის მოადგილის ნ. ნოდიას მოხსენება საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს 1970 წლის და 1971 წლის პირველი კვარტალის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობის შესახებ.

კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ სამინისტრომ გადაჭარბებით შეასრულა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გეგმები. 1969 წელთან შედარებით მოსახლეობას გაეწია 7,6 მლნ მანეთით მეტი მომსახურება, ერთ სულ მოსახლეზე მომსახურების დონე გაიზარდა 15,8 პროცენტით.

გადაჭარბებით შესრულდა კაპიტალური დაბანდების გეგმა ყველა წყაროს მიხედვით. საექსპლუატაციოდ გადაეცა 127 ობიექტი.

ამასთან ერთად, მუდმივი კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ სამინისტროს 1970 წლის და 1971 წლის პირველი კვარტალის საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაში ადგილი აქვს რიგ ნაკლოვანებას. მიმდინარე წლის იანვრისათვის სამინისტროს სისტემის საწარმოებსა და ორგანიზაციებში ირიცხებოდა მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატული ნაშთი რამდენიმე ათასი მანეთის ღირებულებისა.

დებიტორული დავალიანება გადიდებულია 147 ათასი მანეთით. დავალიანება განსაკუთრებით დიდია აფხაზეთის ასსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს, ქ. ქუთაისის, გარდაბნის და ახმეტის რაიონის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოების ხაზით.

სამინისტროს საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობაში ადგილი აქვს დაკვეთების გაუფორმებლად შესრულების შემთხვევებს. ნაკლოვანებებია ატელიეებისა და სახელოსნოების კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტების საქმეში.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ მუდმივი კომისიის წევრები, დეპუტატები: ლ. ისაკაძე, უ. კაზარიანი, ა. კოპლატაძე, მ. ყულიევი და სხვა.

კომისიის მუშაობა შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ დეპუტატმა დ. გელაშვილმა.

*

* *

ჯანმრთელობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივმა კომისიამ მოისმინა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის ვ. ბოჭორიშვილის მოხსენება ბავშვთა ტრავმატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობის შესახებ რესპუბლიკაში.

კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ ბავშვთა ტრავმატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში მოპოვებულია გარკვეული მიღწევები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორთოპედიული დეფორმაციებისა და სამშობიარო ტრავმების დროულად გამოსავლიანებლად რესპუბლიკაში ტარდება ახალშობილთა პროფილაქტიკური გასინჯვა. შექმნილია დაწესებულებები, რომლებიც ატარებენ ორთოპედიულ-ტრავმატოლოგიურ დაავადებათა ეტაპურ მკურნალობას.

ამასთან ერთად აღინიშნა, რომ არსებითი ნაკლოვანებებია ბავშვთა ორთოპედიულ-ტრავმატოლოგიური დახმარების საქმეში. არსებული საწოლების რაოდენობა არ შეესაბამება საჭირო ნორმატივებს. საწოლთა რაოდენობა არ არის საკმარისი აგრეთვე ბავშვთა სპეციალიზებულ სანატორიუმებში.

ბავშვთა ორთოპედიულ-ტრავმატოლოგიური მომსახურების საქმეში ნაკლოვანებები აქვთ ბავშვთა პოლიკლინიკებსაც და სხვა.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ მუდმივი კომისიის წევრები, დეპუტატები: დ. ჯიჯელავა, დ. იოსელიანი, ზ. მანთაშაშვილი, გ. მელქაძე, რ. სიორიძე, გ. ხუნდაძე, შ. შარტავა და სხვები.

კომისიის მუშაობა შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ, დეპუტატმა პ. გელბახიანმა.

ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუდმივმა კომისიამ მოისმინა კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ნ. ბერიძის მოხსენება, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით მგზავრთა მომსახურების მდგომარეობის შესახებ ქალაქებში თბილისში, ბათუმში, სოხუმში, ქუთაისსა და რუსთავში.

კომისიის სხდომაზე აღინიშნა, რომ უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვანი ღონისძიებებია განხორციელებული მგზავრთა მომსახურების გასაუმჯობესებლად. ამ ქალაქებში სისტემატურად ინერგება მგზავრთა მომსახურების მოწინავე მეთოდები. სამგზავრო ტრანსპორტის ცალკეული სახეები აღჭურვილია კავშირგაბმულობის თანამედროვე საშუალებებით: ტელეხედვით, რადიოტელეფონით, სელექტორული კავშირით, ისრებისა და შუქნიშნების სადისპეტჩერო ცენტრალიზაციით და სხვა.

ამასთან ერთად ქალაქის სამგზავრო ტრანსპორტის მუშაობაში ადგილი აქვს რიგ ნაკლოვანებას. ხშირია მანქანების მოცდენა ტექნიკური გაუმართაობისა და სათადარიგო ნაწილების უქონლობის გამო. მოუწყობელია რიგი ავტოსაწარმოს შეკეთება-მომსახურების ბაზები, ჭიანურდება საწარმოო ნაგებობათა რეკონსტრუქცია და სხვა.

საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ მუდმივი კომისიის წევრები, დეპუტატები: ა. კაჭარავა, ლ. ხარბედია, ვ. ჯანჯღავა, ვ. ნიჟარაძე, ვ. ნანეიშვილი და სხვები.

*

* *

საკანონმდებლო განზრახულებათა და სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიების გაერთიანებულმა სხდომამ განიხილა საქართველოს სსრ მიწის კოდექსის პროექტი.

მოხსენება საქართველოს სსრ მიწის კოდექსის პროექტის შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ იუსტაციის მინისტრმა ვ. მაისურაძემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოდექსის პროექტის განხილვაში მონაწილეობდნენ მუდმივი კომისიის წევრები დეპუტატები: ო. აბესაძე, ბ. ჟღენტი, შ. გრძელიშვილი, ბ. გოცირიძე, ა. ჩიქოვანი და ი. ყიფიანი, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ი. რთველიაშვილი, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების მინისტრი მ. ღვინჯილია, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის იურიდიული განყოფილების გამგე პ. ბერძენიშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იურიდიული ჯგუფის უფროსი მ. მაჭავარიანი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი ნ. ლომსაძე, სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და ორგანიზაციის სამეცნიერო საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი ვ. ბურკაძე, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიწათსარგებლობის და მიწათმოწყობის მთავარი სამმართველოს უფროსი ი. ბაღაშვილი და სხვები.

კომისიების მუშაობა შეაჯამა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა მ. საბაშვილმა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა მუდმივი კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ დეპუტატმა ვ. გელაშვილმა.

უმაღლესი საბჭოს მუდმივმა კომისიებმა განხილულ საკითხზე მიიღეს დადგენილება — მოწონებულ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს სსრ მიწის კოდექსის პროექტი და განსახილველად წარედგინოს იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგ სესიას.

მუდმივმა კომისიებმა განხილული საკითხების გამო მიიღეს სათანადო დადგენილებანი.

კომისიების მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.